



დანართი N13

**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19)  
სავარაუდოდ ექსპოზირებული შშმ პირთა განთავსების ობიექტებში დასუფთავება-  
დეზინფექციისა და იზოლირებულ პირთა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მომსახურების  
(დასუფთავება, საკვების/პროდუქტის დარიგება-მიწოდება) განმახორციელებელი  
პერსონალისთვის**

**წინამდებარე დოკუმენტის მიზანია:**

რეკომენდაციები არასამედიცინო დაწესებულებებში (მაგ: საცხოვრებელი და სამუშაო ოთახები, ოფისები, ტრანსპორტი, სასწავლო-სააღმწერდლო დაწესებულებები და ა.შ.), მომუშავე პერსონალისთვის, რომლებშიც იმყოფებოდნენ ახალი კორონავირუსით (COVID-19) დაავადებული ან საექვო პირები ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში. აღნიშნული მითითებები ემყარება COVID-19-ის შესახებ არსებულ ცოდნას და საერთაშორისო ორგანიზაციების (WHO, ECDC, CDC) რეკომენდაციებს.

**სამიზნე აუდიტორია:**

სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, დაწესებულებები და სხვა დაინტერესებული სტრუქტურები, ფიზიკური პირები.

**COVID-19:** დაავადების გამომწვევი ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა, უმეტეს შემთხვევაში, ხდება რესპირაციული წვეთებით და კონტაქტური გზით, თუმცა, შესაძლებელია გადაცემის სხვა გზების არსებობაც. რესპირაციული წვეთების გარემოში გაფრქვევა ხდება 1,5 მეტრამდე, რის გამოც შედარებით დიდ მანძილზე საუბარი საშიშროებას არ წარმოადგენს. ამ ვირუსის გარემო ობიექტებზე გამძლეობა დაახლოებით 3-4 დღეა. გამძლეობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია როგორც, ობიექტების ზედაპირების მასალაზე, ასევე, გარემოს ტემპერატურასა და ტენიანობაზე.

**დასუფთავების მითითებები:** COVID-19-ით პოტენციურად დაბინძურებული ოთახები და სათავსები გამოყენებამდე აუცილებლად უნდა გაიწმინდოს. წყლით და საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებებით დასუფთავების ჩატარება და საყოფაცხოვრებო სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება პროფილაქტიკური დასუფთავების ჩასატარებლად საკმარისია. ჩატარებულია კვლევები რამდენიმე ანტიმიკრობული საშუალების ეფექტურობის შესაფასებლად კოროვირუსების წინააღმდეგ. სადეზინფექციო საშუალებები სხვადასხვა აქტიური ინგრედიენტის შემცველობით (მაგ: ნატრიუმის ჰიპოქლორიტი (მაგ. საყოფაცხოვრებო მათეთრებელი) და ეთანოლი), ფართოდაა ხელმისაწვდომი.

**ცხრილი 1. ანტიმიკრობული აგენტები, რომლებიც ეფექტურია კორონავირუსის საწინააღმდეგ**

ანტიმიკრობული აგენტი	სამუშაო კონცენტრაცია
ეთანოლი	70%
ნატრიუმის ჰიპოქლორიტი	0.1-0.5%
	0.05-0.1%
პოვიდონ-იოდი	10% (1% იოდი)
გლუტარალდეჰიდი	2%
იზოპროპანოლი	50%
ბენზალკონიუმის ქლორიდი	0.05%
ნატრიუმის ქლორიტი	0.23%
ფორმალდეჰიდი	0.7%

**დასუფთავების რეკომენდებული წესი:**

მიზანშეწონილია 0,1%-იანი ნატრიუმის ჰიპოქლორიტის (ნეიტრალური სარეცხი საშუალება) გამოყენება (განზავება 1:50 თუ გამოყენებულია საყოფაცხოვრებო მათეთრებელი 5%-იანი კონცენტრაციით) ზედაპირების გაუვნებელყოფის მიზნებისათვის. იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ნატრიუმის ჰიპოქლორიტის გამოყენების შედეგად, გაუვნებელყოფისათვის შესაძლოა 60-70%-იანი კონცენტრაციის ეთანოლის, ან სხვა სპირტშემცველი პრეპარატების გამოყენება. განსაკუთრებით კარგად უნდა გაიწმინდოს ისეთი ზედაპირები, რომლებთანაც ხშირად ხდება შეხება (კედლები, კარები, სახელოები, საჭე, ფანჯრები, უნიტაზი, აბაზანის ზედაპირები). ყველა ქსოვილი (მაგალითად, თეთრეული, ფარდები და ა.შ.) უნდა გაირეცხოს ცხელი წყლის ციკლის გამოყენებით (90°C) და სარეცხი საშუალების დამატებით.

**დასუფთავება-დეზინფექციას ექვემდებარება შშმ პირებისთვის საჭირო ინვენტარი:**

ეტლი, კიდურების პროთეზი, სმენის აპარატი, სიარულის საყრდენი („ხადულკა“), პანდუსი, აბაზანის აქსესუარები შშმ პირებისთვის ხელჩასავლები, დასაკიდი ხელსაბანი, მოძრავი სარკე და ა.შ. დასუფთავება პერსონალმა უნდა განხორციელოს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით.

**სავარაუდოდ დაბინძურებული ობიექტების ყოველდღიური დასუფთავების განმახორციელებელი პერსონალისთვის რეკომენდებულია:**

- ა) სამედიცინო ნიღაბი, 2 ან 3 ფენიანი (მომსახურების დამთავრების შემდგომ ექვემდებარება განადგურებას);
- ბ) დამცავი სათვალე (მომსახურების დამთავრების შემდგომ მუშავდება სადეზინფექციო ხსნარით) თანამშრომლის ან ბენეფიციარის COVID-19-ით დაავადების დადასტურებული ან საექვო შემთხვევაში;

გ) ხალათი უკან შესაკრავით (ერთჯერადი - ექვემდებარება განადგურებას, ხოლო მრავალჯერადი ხალათი თავსდება პოლიეთილენის პარკში ან სპეციალურ ყუთში შემდგომი რეცხვისა და ხელმეორედ გამოყენებისთვის);

დ) სითხეგაუმტარი ხელთათმანები (სამუშაოს დამთავრების შემდგომ ექვემდებარება სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებას, ხოლო ერთჯერადები უნდა გადაიყაროს);

ე) სითხეგაუმტარი ფეხსაცმელი (ექვემდებარება დეზინფექციას) და/ან ერთჯერადი ბახილები (პოლიეთილენის პარკით გადაყრა შესაძლებელია საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად);

ვ) ერთჯერადი ჩაჩი (აუცილებელი არ არის, გამოყენების შემთხვევაში ნადგურდება სამუშაოს დამთავრებისთანავე);

ზ) პოლიეთილენის 2 (ორი) გამძლე პაკეტი (ან კონტეინერი), ერთი ნახმარი ერთჯერადი საშუალებებისა და მეორე, მრავალჯერადი საშუალებების შესაგროვებლად. შესაძლებელია ერთჯერადი საშუალებების პოლიეთილენის თავმოკრული პარკის გადაგდება „არასახიფათო“ (საყოფაცხოვრებო) საერთო სამედიცინო ნარჩენებთან.

ასევე შესაძლებელია დასუფთავება-დეზინფექციისთვის გამოყენებულ იქნეს ერთჯერადი ან სპეციალური დანიშნულების ინვენტარი და მოწყობილობები. მრავალჯერადი გამოყენების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები სამუშაოს დამთავრების შემდგომ უნდა იყოს დეზინფიცირებული (მაგ: 0.1%-იანი ნატრიუმის ჰიპოქლორიტი ან 60-70%-იანი ეთანოლი).

ყველა ქიმიური ნაწარმის გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის რეკომენდაციები. დასუფთავების მიზნით ქიმიური ნაწარმის გამოყენებისას, როგორც წესი აუცილებელია ობიექტის განიავება, დასუფთავების განმახორციელებელი პირების ჯანმრთელობის დასაცავად.

**დამატებითი ინფორმაცია:**

[www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)

ცხელი ხაზი: 1505

[www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge)

ცხელი ხაზი: 116001

**StopCoV.ge**